დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

დოკუმენტური ფილმების სტუდია
"ვიკინგების მოგზაურობა საქართველოში"

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდია მუშაობს ფილმზე „ვიკინგების მოგზაურობა საქართველოში".

არსებობს ცნობილი შვედური საგა, სადაც აღწერილია ინგვარის მოგზაურობა და მისი გარდაცვალება სარკლანდის (კასპიისპირეთის) მხარეში.

2004 წელს ჩატარებულმა ექსპედიციამ, რომელსაც ცნობილი შვედი მეცნიერი მაც გ.ლარსონი ხელმძღვანელობდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ვიკინგები საქართველოში იმყოფებოდნენ. ამ მასალებზე დაყრდნობით საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდია საქველმოქმედო ასოციაცია თიბისისა და შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით იღებს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, რომლის გადაღებები შედგება როგორც საქართველოში, ასევე შვედეთში.

2014 წლის 7 ივნისს გადამღები ჯგუფი შვედეთში მიემგზავრება და გადაღებების შემდგომ 16 ივნისს დაბრუნდება საქართველოში.

გადამღები ჯგუფი: რეჟისორი-შალვა შენგელი, ავტორი-ბიძინა მაყაშვილი, ოპერატორი-კახაბერ ბუხრაშვილი, მონტაჟის რეჟისორი-ბექა გერსამია.

ფილმის პრემიერა საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი სატელევიზიო სეზონის ეთერში შედგება.